ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №291078

ნომერი: AR170536

თარიღი : 01.08.2012

გაცემის თარიღი : 01.08.2012

გაცნობის თარიღი : 08.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635

ორგანიზაცია:
- შპს მაგთი კოდი: 204873645

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა დემონტაჟი

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში , გუდიაშილის ქ. 18 / რუსთაველის გამზ. 7-ში, შპს "მაგთი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟის საკითხს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების 65-ე მუხლის პირევლი პუნქტის შესაბამისად თვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება 1 კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის " თბილისის არქიტექტურის სამსახური". " მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (1. მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.15.04.024.012; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 882011634758, 27.12.2011; 2. არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციასთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, გუდიაშილის ქ. 18 / რუსთაველის გამზ. 7-ში, შპს "მაგთი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟის შესაძლებლობას. აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

მიწის კოდი 01-15.04.024.012

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №301113

ნომერი: AR170538

თარიღი : 01.08.2012

გაცემის თარიღი : 08.08.2012

გაცნობის თარიღი : 24.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635

ორგანიზაცია:
- შპს მაგთი კოდი: 204873645

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.15.04.024.012) არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია სამშენებლო ქვაბულიდან ზედმეტი გრუნტის და სამშენებლო ნაგვის გატანა, ასევე, ქვაბულის ძირის მოშანდაკება. თუმცა, საბოლოო ნებართვის მისაღებად, სამსახურის მიერ 08.08.2012წ. AR170536 განცხადებით გაცემულ დემონტაჟის ნებართვაში (I კლასი – 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა – დემონტაჟი) საჭიროა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მოთხოვნის შინაარსში ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟთან ერთად მითითებული იქნეს ზემოაღნიშნული მოთხოვნებიც.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს ტელ. 237 83 46.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

მაგთი

შპს "მაგთი"
დ.აღმაშენებლის გამზ. 152
0112-თბილისი-საქართველო

MAGTI

MAGTI LTD.
152 D. Agmashenebeli ave.,
Tbilisi 0112 Georgia

31.01.2013

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო იურიდიულ პირს
თბილისის არქიტექტურის სამსახურს

შპს "მაგთი"-ს დირექცია მოგმართავთ თხოვნით, რათა თქვენს მიერ 01.08.2012 წლის გადაწყვეტილება №291078-ში შევიდეს ცვლილება 08.08.2012 წლის გადაწყვეტილება №301113-ის მიხედვით.

კერძოთ "არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟის საკითხს", რომელზეც თქვენს მიერ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება (№291078), დაემატოს "სამშენებლო ქვაბულიდან ზედმეტი გრუნტის და სამშენებლო ნაგვის გატანისა და ქვაბულის ძირის მოშანდაკების საკითხი", რომელზეც აგრეთვე თქვენს მიერ იქნა მიღებული პრინციპული თანხმობა (№301113).

წერილს თან ერთვის 2 დანართი (თვითოეული 2 გვერდი. სულ 4 გვერდი).
დანართი 1: გადაწყვეტილება №291078. 01.08.2012.
დანართი 2: გადაწყვეტილება №301113. 08.08.2012.

პატივისცემით
შპს "მაგთი"-ს დირექტორი
დავით გაჩეჩილაძე

